ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №105

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დ. ადიგენი

31 აგვისტო 2017 წელი

ერთის მხრივ ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მის.: დ. ადიგენი, თამარ მეფის ქ.№5, ს/კ 222729162, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, ა/ა GE24NB0330100200165022) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზაქარია ენდელაძის სახით შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე „იოსებ გოგატიშვილი" (მის: დ.ადიგენი რუსთაველის ქ.№10, ს/კ 03001001135, ა/ა GE12TB7211745061600011, ს.ს „თიბისი ბანკის", ბანკის კოდი TBCBGE22) წარმოდგენილი იოსებ გოგატიშვილის სახით შემდგომში „მიმწოდებელი" გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ადიგენის მუნიციპალიტეტის მიერ, ბორჯომის მუნიციპალიტეტში 2017 წლის 20 აგვისტოს გაჩენილი ხანძრის სალიკვიდაციო ღონისძიებაში ჩართული ცოცხალი ძალისათვის, საჭირო საკვები პროდუქტების (თევზის კონსერვი, ძეხვი, პური)შეძენის უზრუნველყოფა.

2.ხელშეკრულების ობიექტი

2.1 ხელშეკრულების ობიექტია 2017 წლის დამტკიცებული ბიუჯეტიდან ბორჯომის მუნიციპალიტეტში 2017 წლის 20 აგვისტოს გაჩენილი ხანძრის სალიკვიდაციო ღონისძიებაში ჩართული ცოცხალი ძალისათვის, საჭირო საკვები პროდუქტების (თევზის (შპროტი) კონსერვი თუნუქის ქილა 240გრ., ძეხვი, პური) შესყიდვა თანდართული ფასების ცხრილის დანართი №1-ის შესაბამისად.
-კლასიფიკატორის კოდი - 15200000; 15100000; 15800000;

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება გამოისახება ლარებში და შეადგენს 2962 (ორიათასცხრაასსამოცდაორი) ლარს და 50 თეთრს დღგ-ის გათვალისწინებით.

4. შესასყიდი საქონლის ხარისხი

4.1 შესასყიდი საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს.

5. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება იწარმოებს 31 აგვისტოს ჩათვლით .

5.2 მიწოდების ადგილია, დ. ადიგენის თამარ მეფის ქ.№5, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

6. საქონლის მიღება -ჩაბარების წესი

6.1 ხელშეკრულების ობიექტი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ სათანადოდ შედგენილი მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი

7.1. ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის" მიერ სათანადო დოკუმენტაციის (სასაქონლო ზედნადების, ანგარიშფაქტურის) საფუძველზე გაკეთებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. ,,მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს მოთხოვნილი საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში 5.2. პუნქტში მითითებულ მისამართზე დანართი №1-ის შესაბამისად.

8.2. ,,შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზრაუროს ,,მიმწოდებელს" საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1. მხარეები პასუხისმგებლები არიან ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის საქართველოს მოქმედი პასუხისმგებლობის შესაბამისად.

9.1. ,,მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების 0,3 %-ის ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში თუ დავალიანების თანხა მიაღწევს მთლიანი ღირებულების 5%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებები შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორი გარემოებების შედეგი.

10.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ,,შემსყიდველისა" ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორი გარეომოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიურლი ხერხები, რომლების დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. მხარეებს შორის წარმოქმნილი სადაო საკითხები გადაწყდება ურთიერ-მოლაპარაკების საშუალებით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში კი სასამართლოს მეშვეობით.

11.2. მხარეები სრულად აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.ინსპექტირების პირობები.

12.1. ,,შემსყიდველს" უფლება აქვს შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხი და ვარგისიანობა. დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში მოთხოვოს ,,მიმწოდებელს" წუნდებული საქონლის გამოცვლა და ზარალის ანაზღაურება.

12.2 ,,შემსყიდველის" მხრიდან ინსპექტირებას განახორციელებს ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის საჯარო დაწესებულების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბადრი თათოშვილი;

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით;

13.2. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“:

ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
ა/ა GE24NB0330100200165022, ს/კ 222729162;
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22;
მის: დ.ადიგენი თამარ მეფის ქ.5.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: /ზ. ენდელაძე/

„მიმწოდებელი“:

ინდ. მეწარმე „იოსებ გოგატიშვილი";
მის: დ.ადიგენი რუსთაველის ქ.№10;
ს/კ 03001001135, ა/ა GE12TB7211745061600011;
ს.ს „თიბისი ბანკის“, ბანკის კოდი TBCBGE22.

ი/მ: ი.გოგატიშვილი

ფასების ცხრილი

დანართი №1

#	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი(ლარი)	ჯამი(ლარი)
1	პური ფორმის 1 ხარისხის	ცალი	500	0,6	300
2	ძეხვი (ლუდის)	კგ	125	12,5	1562,5
3	თევზის კონსერვი(შპროტი) კონსერვი თუნუქის ქილა 240გრ.	ცალი	125	2,3	1150
სულ ჯამი(ლარი) დღგ-ს გათვალისწინებით					2962,5

ინდ/მეწარმე:

ი.გოგატიშვილი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

დ. ადიგენი

31 აგვისტო 2017 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ხელშეკრულებაში ,,შემსყიდველი'' მხარის წარმომადგენელები ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2017 წლის 31 აგვისტოს გაფორმებული N105 ხელშეკრულებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ზაქარია ენდელაძე — მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბ.თათოშვილი — ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის საჯარო დაწესებულების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი